ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3452600

ნომერი: AR1528346

თარიღი : 28.07.2017

გაცემის თარიღი : 04.08.2017

გაცნობის თარიღი : 04.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ანაგი , N 41 , ნაკვეთი N10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა მარუაშვილი პ/ნ 60002011147
- თბილისი ც.დადიანის ქ. N 142 ბ. 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
1. დამატებით წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა მომიჯნავე საკადასტრო წითელი ხაზების ჩვენებით და საპროექტო კონდიციონერის განთავსების არეალის მონიშვნით. გაითვალისწინეთ დაუშვებელია კონდიცონერი განთავსება სხვის რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ხოლო იმ შემთხვევაში თუ კონდიციონერი ეწყობა დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.
2. წარმოადგინეთ საპროექტო ფოტომონტაჟი როგორც ჟალუზით, ასევე ჟალუზის გარეშე მხოლოდ კონდიციონერი.
3. წარმოადგინეთ კონდიციონერის განთავსების ადგილის სქემატური გეგმა და ჭრილი გაბარიტული ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით, ჭრილზე გრუნტის ჩვენებით, გეგმებზე არსებული შენობის კედლისა და ღობის დატანით.
4. ვინაიდან მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, საჭიროა წარმოდგენილ იქნას მშენებარე ობიექტის მესაკუთრის თანხმობა, განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.